საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომა №44

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება (იხ. დანართი 1) – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
2. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცება (იხ. დანართი 5) – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
3. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება (დანართი 6) – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;
4. აკადემიური საბჭოს №203 დადგენილების დამტკიცება, კერძოდ, “უწყვეტი განათლებისა და არქიტექტორთა პროფესიული განვითარების ცენტრის” შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი ქ-ნი ლალი ხვედელიძე);
5. მიმდინარე საკითხები:

ა) სტუ-თან არსებული "ბირთვული ინჟინერიის ცენტრის" შექმნა და დებულების დამტკიცება;

ბ) სტუ-ის აკადემიური საბჭოს №184 დადგენილება – იუნესკოს კათედრის "საინფორმაციო საზოგადოება" სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურაში დამოუკიდებელ ერთეულად შესვლის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 3 თებერვლის სხდომის
ოქმი №44

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 40. სხდომას უძღვებოდა სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. მალხაზ ხუციშვილი, ასოც. პროფ. ხათუნა ჟვანია, პროფ. ვანო ჭიაურელი.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 1, 2, 3, 4).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მოგახსენებთ, რომ სახელმწიფომ უკვე გამოგვიყო შეპირებული თანხა.

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილის (№24-09-1/628. 20.01.10) თანახმად, სტუ-ს სახელმწიფოს მიერ, 2010 წლის ბიუჯეტის დაფინანსების წყაროდ, გამოყოფილი აქვს 4.095.600 ლარი. აღნიშნული თანხიდან:

ა) 422.400 ლარი განკუთვნილია კოსმოსური ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასაფინანსებლად;

ბ) 9.708 ლარი – სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის დასაფინანსებლად;

დ) 16.940 ლარი – გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილების დასაფინანსებლად;

ე) "სუბსიდიების" მუხლში დარჩენილი 3.219.952 ლარი გათვალისწინებულ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის – ხელფასის პუნქტის დასაფინანსებლად;

ზ) “სხვა ხარჯების” მუხლით გათვალისწინებული თანხა, 426.000 ლარი, გათვალისწინებულ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის – სტიპენდიების პუნქტის დასაფინანსებლად;

2. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2009 წლის 28 დეკემბერს №43 ოქმით დამტკიცებული 2010 წლის ნაერთი ბიუჯეტის, შრომის ანაზღაურების მუხლის – ხელფასის, პუნქტიდან ამოღებულ იქნეს 3.219.952 ლარი და გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) 1.000.000 ლარი გათვალისწინებულ იქნეს სუბსიდიების მუხლში, რომელიც გამოყენებული იქნება სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად;

ბ) 2.219.952 ლარი გათვალისწინებულ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლის ძირითადი აქტივების პუნქტში.

ამ თანხიდან დაფინანსდება კაპიტალური მშენებლობები და სხვადასხვა პროგრამები, მოხდება ზოგიერთი კორპუსის გათბობა და ახალი ფანჯრების მონტაჟი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – 2010 წლის ბიუჯეტის განხილვისას გული გვწყდებოდა, რომ I, II, III, IV კორპუსების გათბობის პრობლემა არ იყო დასმული. მადლობა უნდა გადავუხადოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სტუ-ის ადმინისტრაციას, რომ საშუალება გვეძლევა ეს პრობლემები გადავწყვიტოთ. აღნიშნული პროგრამულად უნდა გაიწეროს და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს. რაც შეეხება 1 000 000 ლარს, სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხას, ახლავე უნდა დავიწყოთ მზადება ამ თანხის ასათვისებლად, რათა სამინისტრომ უკან არ წაიღოს. ხელფასის მომატებაზე ფიქრი ამ ეტაპზე მორალურად არასწორია. მხარი უნდა დავუჭიროთ 2010 წლის ნაერთი ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცების საკითხი. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

სტუ-ის 2010 წლის პირველ თებერვალს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წერილობით №4 მიმართა წარმომადგენლობით საბჭოს ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (წერილი №24-09-1/628. 20.01.10) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტექნიკურ უნივერსიტეტს გამოუყო 4.095.600 ლარი, აქედან, 422.400 ლარი განკუთვნილია ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის, 9.708 ლარი – სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის, 16.940 ლარი – გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილების, 3.219.952 ლარი – უნივერსიტეტის შრომის ანაზღაურების ხოლო, 426.000 ლარი სტიპენდიების დასაფინანსებლად.

ამასთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მოითხოვს, ნაერთი ბიუჯეტიდან ამოღებულ იქნეს 3.219.952, საიდანაც 1.000.000 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიების მუხლში, სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად, 2.219.952 ლარი – არაფინანსური აქტივების მუხლის ძირითადი აქტივების პუნქტში.

წარმომადგენლობით საბჭოს მიაჩნია, რომ სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტში მითითებული ცვლილებები ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს არსებითად გააუმჯობესოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადაწყვიტოს III, IV და II სასწავლო კორპუსების გათბობის პრობლემები, პირველ სასწავლო კორპუსში გამოცვალოს ფანჯრები და სასწავლო აუდიტორიებში ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები.

საბჭო თვლის, რომ მოკლე ვადაში სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად შემუშავებულ იქნეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნობრივი პროგრამა და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა:

1. *ა) სტუ-ის ნაერთ ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები. საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 28194584 ლარით, საგასავლო ნაწილი – 28141574 ლარით, მატებით გათვალისწინებული სახსრები განაწილდეს 1-ლი დანართის შესაბამისად;*

   ბ) ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის 2010 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 422.400 ლარით და მისი ხარჯვა განხორციელდეს მე-2 დანართის შესაბამისად;

   გ) სტუ-ის სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის 2010 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 9.708 ლარით მე-3 დანართის შესაბამისად;

   დ) სტუ-ის გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილების 2010 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 16.940 ლარით მე-4 დანართის შესაბამისად;

ე) სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად გამოიყოს 1.000.000 ლარი;

ვ) არაფინანსური აქტივების მუხლის ძირითადი აქტივების დასაფინანსებლად გამოიყოს 2.219.952 ლარი;

ზ) სტუ-ის სტუდენტთა სტიპენდიების დასაფინანსებლად გამოიყოს 426.000 ლარი.

2. *ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქ. ქოქრაშვილი) მიმდინარე წლის მარტის ბოლოსთვის წარმომადგენლობით საბჭოში დასამტკიცებლად წარმოადგინოს უნივერსიტეტის 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისათვის ჩასატარებელი სამუშაოების ერთიანი მიზნობრივი პროგრამა.*

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 5).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – წარმოგიდგენთ კოსმოსური ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშტატო განრიგს. მათი ბიუჯეტი სახელმწიფოდან დამტკიცდა და გთხოვთ კენჭი ვუყაროთ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი – ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცება. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის 2010 წლის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის 2010 წლის საშტატო განრიგი (იხ. დანართი 5).

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 6).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემულია ფართობები. კერძოდ, სანდრო ეულის ქუჩაზე ფართობები იჯარით იყო გაცემული. მათ სახელმწიფომ იჯარის ხელშეკრულებები შეუწყვიტა და ჩვენ ახლიდან ვდებთ მათთან ხელშეკრულებებს. ასეთი 18 ობიექტია. მე-19 გასაიჯარებელი ობიექტია კოსტავას 77, VIII სასწავლო კორპუსის I სართულზე არსებული 12 $მ^2$ არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (პოლიგრაფიული საქმიანობა), 4 წლის ვადით. დავიქირავებთ აუდიტს და ის დაადგენს ამ ფართობების ღირებულებას. იჯარიდან შემოსული თანხებით გადავიხდით გადასახადებს და სტუ-საც მოგება დარჩება.

პროფ. დავით ჯაფარიძე – გთხოვთ, განვიხილოთ კავკასიის ბიზნეს სკოლის დირექტორის პასუხი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – კავკასიის ბიზნეს სკოლასთან ხელშეკრულება თავიდან გაფორმდა და დაიწყეს გადახდა ფასით: 1$მ^2$ – 5 დოლარი. მე გავეცანი ამ პასუხს. მათი პასუხის სიმწვავე განპირობებულია იმით, რომ სასამართლოს მივმართეთ. ცხადია, სასამართლოს გადაწყვეტილება გადამწყვეტი იქნება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის საკითხის დამტკიცება. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს

2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა წარმოდგენილი 19 ობიექტი, კერძოდ:

1 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 19.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (შესაფუთი დანადგარების დამზადება), 4 წლის ვადით.*

2 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 50.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (სასაწყობო დანიშნულებით), 4 წლის ვადით.*

3 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 43.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (სასაწყობო დანიშნულებით), 4 წლის ვადით.*

4 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 43.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (სახარატო საამქრო), 4 წლის ვადით.*

5 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 48.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (სახარატო საამქრო), 4 წლის ვადით.*

6 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 39.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (სახარატო საამქრო), 4 წლის ვადით.*

7 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 43.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (სასტამბო საქმიანობა), 4 წლის ვადით.*

8 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 34.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (საიუველირო საქმიანობა), 4 წლის ვადით.*

9 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 135.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (თერმოვენტილაცია), 4 წლის ვადით.*

10 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 49.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (სასაწყობო დანიშნულებით), 4 წლის ვადით.*

11 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 43.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (მექანიკური საამქრო), 4 წლის ვადით.*

12 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 31.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (მექანიკური საამქრო), 4 წლის ვადით.*

13 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 64.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (შემდუღებელი საამქრო), 4 წლის ვადით.*

14 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 275.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (აღდგენა-რეაბილიტაციის საამქრო), 4 წლის ვადით.*

15 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 57.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (სადურგლო საქმიანობა), 4 წლის ვადით.*

16 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის II სართულზე არსებული 46.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (პოლიგრაფიული საქმიანობა), 4 წლის ვადით.*

17 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის II სართულზე არსებული 42.0 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (ენერგოდანადგარების რემონტი), 4 წლის ვადით;*

18 *თბილისი, სანდრო ეულის 3-ში მდებარე შენობის II სართულზე არსებული 49,7 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (სასტამბო საქმიანობა), 4 წლის ვადით.*

19 *თბილისის, კოსტავას 77, VIII სასწავლო კორპუსის I სართულზე არსებული 12 მ² არასაცხოვრებელი ფართობი. ფართობი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით (პოლიგრაფიული საქმიანობა), 4 წლის ვადით.*

საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი, სახელდობრ აკადემიური საბჭოს №203 დადგენილება – "უწყვეტი განათლებისა და არქიტექტორთა პროფესიული განვითარების ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცება – მომხსენებელი ქ-ნი ლალი ხვედელიძე (იხ. დანართი 7).

ქ-ნი ლალი ხვედელიძე – ცენტრი მოქმედებდა არქიტექტურის ფაკულტეტზე და ჰქონდა ძველი სახელი. მოვახდინეთ სახელის მოდერნიზაცია. პრინციპად ავიღეთ ბოლონიის პროცესი. იმის გამო, რომ სწრაფად იცვლება ტექნოლოგიები, საჭიროა უნივერსიტეტი გადაიქცეს უწყვეტი განათლების

სისტემად. ჩვენი პროგრამები ხისტია. ცენტრი იქნება სწორედ ის, საიდანაც შეიძლება კვალიფიციური კადრების მიღება. გვინდა არ ჩამოვრჩეთ და ვიაროთ დროის პარალელურად. უნივერსიტეტი არ უნდა დაიხუროს, იქ უნდა გაგრძელდეს სწავლა, სამეცნიერო კვლევები და სამეცნიერო მუშაობა. გვინდა აქტიურად ვითანამშრომლოთ სამშენებლო ფაკულტეტთან.

პროფ. მალხაზ ხუციშვილი – რა უნდა ასწავლოთ, მხოლოდ არქიტექტორებისათვის საინტერესო საქმე თუ კიდევ სხვა რამ?

ქ-ნი ლალი ხვედელიძე – არ შემოვიფარგლებით მხოლოდ არქიტექტორებით. აქ ფართო საზოგადოებაც შეგვიძლია მოვიზიდოთ.

სპიკერი – თვითდაფინანსებაში რა იგულისხმება? რაში გამოადგება სერტიფიკატი მსმენელს? რატომ მოვა მაგისტრი ან დოქტორი და რატომ მიიღებს თქვენთან განათლებას, რა მიზნით? ან მოვლენ კი?

ქ-ნი ლალი ხვედელიძე – ეს კურსი აკრედიტებულია და ეხმარება საერთო განათლების მიღებაში (ამ სპეციალიზაციით).

პროფ. დავით ჯაფარიძე – დებულებაში "შემოპარულია", რომ ცენტრისათვის საჭირო თანხა გამოყოფილი იქნება სტუ-ის ბიუჯეტიდან.

ქ-ნი ლალი ხვედელიძე – უნდა დარჩეს ეს პუნქტი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ეს კატასტროფა იქნება. გლობალურად, საერთოდ უნივერსიტეტისათვის უნდა გადაწყდეს, რომ ცენტრები არ დაფინანსდეს სტუ-ის თანხებიდან.

ქ-ნი ლალი ხვედელიძე – ეს ცენტრები მოქმედებს საზღვარგარეთის უნივერსიტეტების ყველა ფაკულტეტზე.

პროფ. იგორ კვესელავა – რამდენ % უხდით უნივერსიტეტს, დებულებიდან არ ჩანს?

ქ-ნი ლალი ხვედელიძე – ეს თქვენ უნდა განსაზღვროთ.

პროფ. გივი გოლეთიანი – დავაყენეთ ეს საკითხი და კომერციალიზაციის დეპარტამენტს დავავალეთ განიხილონ ეს შემოსავლები. ცენტრსა და ადმინისტრაციას შორის უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმება და მოწესრიგდეს ფინანსური ურთიერთობა.

პროფ. ირაკლი ზედგენიძე – კომისიაზე დეტალურად განვიხილეთ დებულება. ამ დებულებიდან უნდა ამოვიღოთ 4.3 მუხლის ერთი პუნქტი "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები", სხვა მხრივ, შეიძლება მივიღოთ ეს დებულება.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – კატეგორიულ უარზე ვართ სტუ-ის ბიუჯეტიდან თქვენი ცენტრის დაფინანსებაზე.

სპიკერი – გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ "უწყვეტი განათლებისა და არქიტექტორთა პროფესიული განვითარების ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცებას მასში შესწორების გათვალისწინებით (სტუ-ის დაფინანსების გარეშე). წარმოდგენილ საკითხს აღნიშნული შესწორების გათვალისწინებით კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომაზე, ქ-ნი ლალი ხვედელიძეს მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს №203 დადგენილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის აკადემიური საბჭოს №203 დადგენილება

– სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტრუქტურაში შემავალ "არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ხუროთმოძღვართა დახელოვნების ცენტრს" შეეცვალოს სახელი და ეწოდოს "უწყვეტი განათლებისა და არქიტექტორთა პროფესიული განვითარების ცენტრი";

– დამტკიცდა აღნიშნული ცენტრის დებულება შემდეგი შესწორების გათვალისწინებით

– დებულებიდან ამოღებულ იქნეს 4.3 მუხლის ერთი პუნქტი "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები".

(იხ. დანართი 7).

მიმდინარე საკითხები

სპიკერი – გადავიდეთ მიმდინარე საკითხების ა) პუნქტზე – სტუ-თან არსებული "ბირთვული ინჟინერიის ცენტრის" შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ. სიტყვას გადავცემ სტუ-ის რექტორს, პროფ. არჩილ ფრანგიშვილს (იხ. დანართი 8).

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ნოემბერში, ხელი მოვაწერეთ შვეიცარიულ ცენტრთან "ბირთვული ამაჩქარებლები" **ATLAS. ATLAS-**ის მიხედვით, ეს არის მოდელირების 3 პროექტი. ეს მოხერხდა ალექსანდრე შერმაზანაშვილის საშუალებით, რომელიც დიდი პროექტის ხელმძღვანელია. ბირთვულ ამაჩქარებლებზე სულ 5 ქართველი მუშაობს ერთი ფირმის სახელით. აქედან, 2

იმუშავებს სტუ-ში, ამიტომ შევდივართ, როგორც დამფუძნებლები. თუ მოგვცემენ დაკვეთები, ეს შემდგომში იმოქმედებს ჩვენ იმიჯზე. თუ შევასრულებთ მაღალი ხარისხით, გადავალთ კარგ პოზიციებზე, არადა დავკარგავთ იმიჯს. 2010 წლის 10 თებერვალს უნდა დავიწყოთ მუშაობა. სტუ-ში სამუშაოების წარმართვის მიზნით, შევქმენით შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და დავარქვით "ბირთვული ინჟინერიის ცენტრი". აქ შესრულდება დაკვეთები და ჩვენი სახელით დაიწყება მუშაობა. ეს კომერციული თვალსაზრისით, არამომგებიანი პროექტია. ისინი მიიღებენ ტენდერში მონაწილეობას და ალბათ გაიმარჯვებენ. პრეტენზია გვაქვს, რომ უნივერსიტეტი იყოს არა მხოლოდ სასწავლო, არამედ კვლევითიც. ჩვენ გვანდობენ 3 პროექტს და გადავალთ ევროპისა და მსოფლიოს უმაღლეს კატეგორიაში.

პროფ. დავით ჯაფარიძე – რა პერიოდში უნდა ავითვისოთ ეს ფული, რომ არ ჩამოგვაჭრან?

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ეს ფული თავიდანვე უნდა ყოფილიყო პროგრამულად გაწერილი, მაგრამ თვითონ სამინისტრომ ვერ მოასწრო ამის გაწერა. პირველ საფეხურზე გრანტს ჩამოვაჭრით 150 – 200 ათასს. 800 ათასი წავა გამოყენებით მეცნიერებაზე. ცენტრის საქმიანობა ასევე მოიცავს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებას ბირთვულ ინჟინერიაში; სტუ-ის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ტრენინგსა და კონსულტაციების უზრუნველყოფის ორგანიზაციას; მაგისტრებისა და დოქტორანტების სტაჟირების ხელშეწყობას ბირთვული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრებში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სტუ-თან არსებული "ბირთვული ინჟინერიის ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომაზე, სტუ-ის რექტორის, პროფ. არჩილ ფრანგიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-თან არსებული "ბირთვული ინჟინერიის ცენტრის" შექმნისა და ამ ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-თან არსებული "ბირთვული ინჟინერიის ცენტრის" შექმნა და ამ ცენტრის დებულება (იხ. დანართი 8).

სპიკერი – გადავიდეთ მიმდინარე საკითხების ბ) პუნქტზე – სტუ-ის აკადემიური საბჭოს №184 დადგენილების დამტკიცება, კერძოდ, იუნესკოს კათედრა "საინფორმაციო საზოგადოება" დამოუკიდებელ ერთეულად შევიდეს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, სიტყვას გადავცემ სტუ-ის რექტორს, პროფ. არჩილ ფრანგიშვილს (იხ. დანართი 9).

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – სტუ-ში ფუნქციონირებდა "იუნესკოს" კათედრა, რომელსაც ვადა გაუვიდა და მივიღეთ "იუნესკოს" წერილი, რომელიც მიზანშეწონილად თვლის გაუგრძელოთ ამ კათედრას ფუნქციონირების ვადა 2013 წლამდე. გვაქვს აკადემიური საბჭოს №184 დადგენილება ამ კათედრის მიზანშეწონილების შესახებ. კათედრის გამგედ ვნიშნავთ აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძეს. ეს არის "იუნესკოს" კათედრა, რაც ჩვენი უნივერსიტეტის პერსპექტიულობის მაჩვენებელია.

სპიკერი – კენჭი ვუყაროთ იუნესკოს კათედრის "საინფორმაციო საზოგადოება" სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურაში დამოუკიდებელ ერთეულად შესვლის საკითხს.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 3 თებერვლის №44 სხდომაზე, სტუ-ის რექტორის, პროფ. არჩილ ფრანგიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის აკადემიური საბჭოს №184 დადგენილების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის აკადემიური საბჭოს №184 დადგენილება – იუნესკოს კათედრა "საინფორმაციო საზოგადოება" დამოუკიდებელ ერთეულად შევიდეს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურაში (იხ. დანართი 9).

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, სრული პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/